

22/04/2024



MES 5 24 0000454498

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს  
სხდომის ოქმი**

**ქ. თბილისი**

**სხდომის თარიღი: 05.04.2024**

**სხდომის დაწყების დრო: 14:00 სთ**

**სხდომის დასრულების დრო: 20:40 სთ**

**სხდომის თავმჯდომარე: გოჩა თუთბერიძე**

**სხდომის მდივანი: ციური დურული**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში-აკრედიტაციის დებულება) 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-13 საფუძველზე, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.

საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:**

- 1. გოჩა თუთბერიძე** - შპს ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი - **საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;**
- 2. გიორგი ლაღანიძე** - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
- 3. დავით გეგეჭკორი** - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგარეო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, პროფესორი.
- 4. ელიზბარ ელიზბარაშვილი** - ა(ა)იპ – საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორი, საქართველოს პროფესიონალ ქიმიკოსთა ასოციაციის დამფუძნებელი;
- 5. აკაკი ხელაძე** – სსიპ – ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი;
- 6. ციური დურული** - სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
- 7. თამარ ტუფინაშვილი** – შპს ბიზნესის და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის აკადემიური განვითარების მიმართულების ხელმძღვანელი;
- 8. დიმიტრი ჯაფარიძე** – სსიპ – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი;
- 9. ხათუნა თოდაძე** - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით, ნარკოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი.
- 10. ვასილ კიკუტაძე** - შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის ბიზნესის და ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი;

**11. დიანა მჭედლიშვილი** – შპს კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;

**12. ქეთევან ნანობაშვილი** – შპს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;

**13. ნინო ჭალაგანიძე** - შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, კანცლერის მრჩეველი; სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის მიმართულების ასოცირებული პროფესორი;

**14. გიორგი მირიანაშვილი** – შპს „გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის“ რექტორის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;

**15. ქეთევან ქუთათელაძე** - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ენერგეტიკის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;

**სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

1. **ლალი ოდიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2. **თამთა მოხევიშვილი** - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი

**საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:**

**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი**

1. დავით მახვილაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2. ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილი - პროფესორი
3. ზურაბ გვიშიანი - ფაკულტეტის დეკანი
4. შორენა კუპრეიშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი
5. მარინა ჯავახიშვილი - სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი
6. გივი გოლეთიანი - პროგრამის ხელმძღვანელი

**შპს - კავკასიის უნივერსიტეტი**

1. დიანა მჭედლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2. შოთა ნიჟარაძე - დეკანი
3. გიორგი არზიანი - პროგრამის ხელმძღვანელი

**სიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

1. რომეო გალდავა - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2. ირმა დიხამინჯია - ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი
3. მურმან კვარაცხელია - პროგრამის ხელმძღვანელი

4. კახი კოპალიანი - ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უფროსი

## **შპს საქართველოს უნივერსიტეტი**

1. არჩილ ჯანგირაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
2. ქეთი ცხადაძე - პროგრამის ხელმძღვანელი
3. რევაზ პაპუკაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი
4. თინათინ ღუდუშაური - დეკანი
5. ნანა შავთვალაძე - პროგრამის ხელმძღვანელი

## **აკრედიტაციის ექსპერტები**

1. აკაკი ჩალათაშვილი - I
2. თამთა ცხოვრებაძე - I
3. თამთა ლეკიშვილი - II
4. ვაჟა კელიხაშვილი - II
5. ავთანდილ თავხელიძე - II
6. ეკა გეგეშიძე - III
7. იოსებ ბერიკაშვილი - III
8. ია ნაცვლიშვილი - III
9. ლიანა ზაგაშვილი - III
10. თამარ სანიკიძე - IV
11. ეკა ლეკაშვილი - V
12. ნინო პოპიაშვილი - VI

აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, გოჩა თუთბერიძემ. ამავე მუხლის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარის დავალებით, სხდომის მდივნის ფუნქციების შესრულება დაევალა საბჭოს წევრს, ციური დურულს.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27<sup>5</sup>-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

**საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:00 საათზე.**

**საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:**

1. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “წყლის რესურსების ინჟინერიის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საკვები პროდუქტების გადამამუშავება და სამაცივრო ტექნოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის “ბიზნეს ანალიტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის “ქართული ფილოლოგიის” სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

7. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის “კომპიუტერული მეცნიერებების” სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა.

## **შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით**

- კი

ცენტრის უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარმა სპეციალისტმა, თამთა მოხევიშვილმა აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე შუამდგომლობა დააყენა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით კერძოდ, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის “კომპიუტერული მეცნიერებების” სადოქტორო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის აკრედიტაციის საბჭოს მომდევნო სხდომაზე გადადების შესახებ, რადგან ექსპერტი, მაქსიმ იავიჩი, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით ვერ ახერხებდა ჩართვას.

საბჭოს სხდომაზე დამსწრე წევრებმა აღნიშნული შუამდგომლობა დააკმაყოფილეს.

### **დამტკიცებული დღის წესრიგი:**

1. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “წყლის რესურსების ინჟინერიის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

3. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საკვები პროდუქტების გადამამუშავება და სამაცივრო ტექნოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის “ბიზნეს ანალიტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის “ქართული ფილოლოგიის” სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

**1. პირველი საკითხი:** სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “წყლის რესურსების ინჟინერიის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ კი

**თვითაცილება განაცხადა ქეთევან ქუთათელაძემ.**

**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

საერთაშორისო ექსპერტი, სალიუს ვასარევიჩუსი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “წყლის რესურსების ინჟინერიის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა დადებითად. მისი თქმით, დაწესებულებაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს კარგი ტექნიკური ბაზა დახვდა. “წყლის რესურსების ინჟინერიის” პროგრამის განხორციელებაში ჩართულია როგორც კვალიფიციური აკადემიური პერსონალი, ისე გარე დაინტერესებული მხარეები. პროგრამა არის რელევანტური, რომელიც გამოირჩევა კარგი პერსპექტივით არა მხოლოდ ქართულ, არამედ საერთაშორისო დონეზე. მან აღნიშნა, რომ პროგრამის მიმართ არ გაცემულა რეკომენდაციები, თუმცა გაიცა რამდენიმე რჩევა. ყველაზე მნიშვნელოვანი რჩევა ეხებოდა პროგრამის ინტერნაციონალიზაციის საკითხს. როგორც ცნობილია, სადოქტორო საფეხური არის განათლების უმაღლესი საფეხური. შესაბამისად, კოოპერაცია, თანამშრომლობა საერთაშორისო აქტორებთან და უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, მნიშვნელოვანია ერთობლივი კვლევების განხორციელებისთვის.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელი, დავით მახვილაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, აღნიშნული პროგრამა შემუშავებულია ყველა იმ წესის დაცვით, რომელსაც საუკეთესო პრაქტიკა ითვალისწინებს. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის “წყლის რესურსების ინჟინერიის” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა მნიშვნელოვანია როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო დონეზე. დაწესებულებას აქვს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსი. პროგრამის განხორციელებას მხარს უჭერენ როგორც წყალთან დაკავშირებული სერვისული კომპანიები, ისე კვლევითი ორგანიზაციები. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები გადატანილი იქნა რჩევებში იმიტომ, რომ პროგრამა ჯერ ისევ შექმნის პროცესშია. ამრიგად, ექსპერტების მიერ გაცემული ყველა რჩევა დაწესებულებისათვის მნიშვნელოვანია.

## **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რა ტიპის კვლევების განხორციელება იგეგმება პროგრამაზე? გარდა ამისა, როგორ აპირებს დაწესებულება კვლევითი პროექტების ფინანსურ უზრუნველყოფას? ასევე რა იგულისხმება ინტერნაციონალიზაციაში, კერძოდ, მობილობის ჭრილში?

საერთაშორისო ექსპერტმა, სალიუს ვასარევიჩუსმა განაცხადა, რომ მობილობაში იგულისხმება როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი გაცვლითი პროგრამები. ამ პროცესს შეიძლება გაცვლითი პროგრამის ან კვლევითი მიმართულებით ვიზიტის სახე ჰქონდეს. შესაბამისად, კლასიკური გაგებით მობილობა რასაც ნიშნავს, ის იგულისხმება ამაშიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ განაცხადა, რომ ძნელია წინასწარ განისაზღვროს კონკრეტულ კვლევასთან მიმართებაში ფინანსური რესურსების აუცილებლობა. ჯერ არ ყოფილა ისეთი შემთხვევა, რომ ფაკულტეტს არ გაეწია ფინანსური დახმარება კვლევისთვის. ხარჯი ყოველთვის აღემატება შემოსულ თანხას. ამრიგად, ფაკულტეტის ბიუჯეტიდან და დამატებითი ფინანსური რესურსების მოძიებით ხდება კონკრეტული პროექტის განხორციელება. მისი თქმით, დოქტორანტი ხელმძღვანელთან ერთად ადგენს ინდივიდუალურ კვლევით გეგმას და ამ გეგმით განისაზღვრება ფინანსური რესურსი. გარდა ამისა, კარგად არის აპრობირებული ამ ფაკულტეტზე სხვადასხვა დაფინანსების წყაროების მობილიზება. მაგალითად, შოთა რუსთაველის სამეცნიერო გრანტი დიდ დახმარებას უწევს დოქტორანტს კვლევითი პროექტის განხორციელებაში. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ პროგრამის კურსდამთავრებულებმა შექმნეს „უნივერსიტეტის განვითარების ფონდი“, რომელშიც დიდი თანხა არის აკუმულირებული კვლევითი პროექტების დაფინანსების მიზნით. საკვლევი პროექტის დამტკიცება შეუძლებელია მხოლოდ აკადემიური საბჭოს პირობებში, რადგან შეიძლება დოქტორანტის იდეა ინოვაციური იყოს, თუმცა შეუძლებელი იყოს კონსორციუმის ფარგლებში მისი განხორციელება. გარდა ამისა, სანამ აპლიკანტი მიიღებს დოქტორანტის სტატუსს, წინასწარ აცნობს ფაკულტეტს სამომავლოდ განსახორციელებელ კვლევით პროექტს. ზურაბ გვიშიანმა აღნიშნა, რომ ასეთი დასახელების პროგრამა არსებობს ქართულ უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში. პროგრამის მიზანია წყლის რესურსების კვლევის განხორციელება ეკონომიური თვალსაზრისით. მან აღნიშნა, რომ პროგრამის ფარგლებში მოხდა მდინარე მტკვრისა და მისი მედიკამენტოზური დაბინძურების გამოკვლევა. შესაბამისად, გლობალური დათბობის ფონზე, ბუნებრივი კატასტროფული პროცესები ვითარდება, რომელიც სამომავლოდ ცუდ შედეგს მოიტანს. დაწესებულებას წყლის საკვლევ ბაზად აღებული აქვს „ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტი“. უნივერსიტეტს მნიშვნელოვნად მიაჩნია როგორც სასმელი წყლის ხარისხის, ისე არიდული ზონების შესწავლა და სამომავლოდ გეგმავს ამ მიმართულებით კვლევის განხორციელებას.

საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, პროგრამის სილაბუსებში იშვიათად ფიგურირებს კვლევითი უნარების განვითარებაზე ორიენტირებული რეფერატები ან პროექტები. მას აინტერესებდა, რამ გამოიწვია აღნიშნული? გარდა ამისა, სად არის მოცემული სწავლის შედეგების რუკები და სწავლის შედეგების შეფასების გეგმა? მან აღნიშნა, რომ სასწავლო კომპონენტის შეფასებისას გამოყენებულია შემდეგი შეფასების სისტემა: „ფრიადი“, „კარგი“, „ძალიან კარგი“ „შესანიშნავი ნაშრომი“ და ა.შ. მას აინტერესებდა, არის თუ არა ეს ტექნიკური ხარვეზი? დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ სწავლის შედეგების რუკებსა და სწავლის შედეგების შეფასების გეგმასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ეს დოკუმენტები არსებობს უნივერსიტეტში. დოქტორანტურის საფეხურზე სწავლის შედეგი მიიღწევა სამეცნიერო კომპონენტების ეტაპობრივი კოლოკვიუმების დონეზე დადასტურებით. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებას არ შეესაბამება სასწავლო კომპონენტის შეფასებისას გამოყენებული შეფასების სისტემა, რაც წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს.

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, კურიკულუმის რუკის მიხედვით იდენტიფიცირებულია ის სასწავლო კურსები, რომლებიც

გადის თითოეულ შედეგზე. როგორც ცნობილია, შედეგების განვითარება ხდება თანმიმდევრულად, თუმცა მესამე, მეექვსე და მეშვიდე შედეგის განმტკიცება პირველი სემესტრში ხდება. მას აინტერესებდა, რით არის გამოწვეული აღნიშნული? დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ სასწავლო კომპონენტის ნაწილში ცოდნის გადაცემის ნაწილი იფარება, ხოლო კვლევითი ნაწილის სწავლის შედეგის მიღწევა ხდება დისერტაციის დაცვისას.

### **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 15:01**

**დასრულების დრო: 15:43**

### **სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის **“წყლის რესურსების ინჟინერიის” სადოქტორო** საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით, 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

### **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

### **გადაწყვეტილება:**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის **“წყლის რესურსების ინჟინერიის” სადოქტორო** საგანმანათლებლო პროგრამას მიანიჭა აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2028 წლის 31 დეკემბრამდე.

### **საბოლოოდ საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა შემდეგი რჩევები:**

1.1 განახორციელეთ მეტი ღონისძიება სასწავლო პროგრამის უფრო მასშტაბური ინტერნაციონალიზაციისთვის: მობილობა, პუბლიკაციები, კონფერენციები, პროექტები და ა.შ.

1.2 სასურველია პროექტების განაცხადების მომზადებასა და პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული სწავლის შედეგების შემუშავება.

1.3 სასწავლო პროგრამის დაწყების შემდეგ, ჩატარეთ შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, პროფესიული ასოციაციები და ა.შ.) გამოკითხვები, პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ.

1.4 სასურველია, პროგრამის კურიკულუმის რუკის დახვეწა.

2.2 უფრო ფართოდ ჩართეთ დოქტორანტები მათ სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო პროექტების განხორციელებაში.

▪ დოქტორანტებს მიეცეთ შესაძლებლობა, გააკეთონ პრეზენტაციები საზღვარგარეთ ჩატარებულ კონფერენციებში.

- დოქტორანტებმა გამოაქვეყნონ მეტი სტატია უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში.
- 2.3 სასურველია მეტი ყურადღება მიექცეს ინოვაციურ გადაწყვეტილებებს წყლის რესურსების ინჟინერიის სფეროში.
- 2.4 სასურველია უცხოელი მეცნიერების მოწვევა, რომლებიც დოქტორანტებისთვის გააკეთებენ პრეზენტაციებს გარემოს ინჟინერიის სფეროში სიახლეების შესახებ.
- 3.1 აუცილებელია დოქტორანტების წახალისება საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში უფრო აქტიური მონაწილეობისკენ.
- 3.2 დოქტორანტის ინდივიდუალური სამუშაო გეგმის გასაუმჯობესებლად ამოცანები ყოველი სასწავლო წლისთვის ცალ-ცალკე უნდა დაიგეგმოს.
- 4.5 სასურველია, პროგრამის ბიუჯეტის უფრო დეტალური ჩაშლა.

**2. მეორე საკითხი:** შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ენერჯეტიკისა და ელექტროინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**  
✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**  
✓ კი

**თვითაცილება განაცხადა დიანა მჭედლიშვილმა.**  
**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა**  
**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

საერთაშორისო ექსპერტი, სალიუს ვასარევიჩუსი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ პროგრამა ახალია და კარგად არის შექმნილი შრომის ბაზრისთვის. მისი თქმით, შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ენერჯეტიკისა და ელექტროინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას კვალიფიციური აკადემიური პერსონალი ახორციელებს. ლაბორატორიების ძირითადი ნაწილი კარგად აღჭურვილია, თუმცა არის გარკვეული განსავითარებელი მხარეები. მაგალითად, ლაბორატორიების ნაწილის ტექნიკური აღჭურვილობა გასაახლებელია და შესაბამისობაშია მოსაყვანი თანამედროვე სტანდარტებთან. გარდა ამისა, აკადემიური პერსონალის მხრიდან მოწოდებული პუბლიკაციები მოძველებულია. ლაბორატორიული სამუშაოები აღრიცხული და ინტეგრირებული არ არის სილაბუსებში. შესაბამისად, ამ საკითხებთან დაკავშირებით უნივერსიტეტმა უნდა იმუშაოს.



ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ პროგრამა ახალია და შეიძლება ჰქონდეს მცირე ხარვეზები. პროგრამის მიმართ გაიცა რამდენიმე რჩევა. ამრიგად, ყველა სტანდარტი შესაბამისობაშია აკრედიტაციის მოთხოვნებთან.

### **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

ტექნოლოგიების სკოლის დეკანი, შოთა ნიჟარაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევების ერთი ნაწილი შესრულებულია, ხოლო მეორე ნაწილზე მიმდინარეობს მუშაობა. დაწესებულებაში არსებული ლაბორატორიების თანამედროვე სტანდარტების შეუსაბამობასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან არ გაცემულა რჩევა, იმიტომ, რომ ყველა ლაბორატორია შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს.

პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი არზიანმა განაცხადა, რომ პროგრამაზე იგეგმება მოწვეული რამდენიმე დარგის სპეციალისტის ნაშრომების, კერძოდ, პუბლიკაციების განახლება და მათი გამოქვეყნება თანამედროვე საერთაშორისო პლატფორმებზე.

### **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სასწავლო კურსებში არ არის ინტეგრირებული ლაბორატორიული მეცადინეობები, თუმცა „ელექტრონული სისტემების სარელეო დაცვის“ სასწავლო კურსი ითვალისწინებს ორი საათი ლაბორატორიულ მეცადინეობებს. მას აინტერესებდა, როგორ არის შესაძლებელი ორი საათის განმავლობაში იმ პრაქტიკული კომპონენტების განხორციელება, რომლებსაც ჩვეულებრივი პრაქტიკული სასწავლო კურსი მოიცავს? ელიზბარ ელიზბარაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რატომ შემოიფარგლნენ ექსპერტები ლაბორატორიებთან დაკავშირებით მხოლოდ რჩევით და არა რეკომენდაციით?

ექსპერტმა ავთანდილ თავხელიძემ განაცხადა, რომ დაწესებულებაში ლაბორატორიები არის საწყის მდგომარეობაში. არსებობს ზოგადი ელექტრონიკის ლაბორატორია, რომელიც „ელექტრონიკის“ პროგრამისთვის არის განკუთვნილი, თუმცა ის არ არის სპეციფიკური ენერგეტიკასთან მიმართებით. მისი თქმით, პროგრამა ახალია და აქედან გამომდინარე გაიცა რჩევები და არა რეკომენდაციები.

საერთაშორისო ექსპერტმა, სალიუს ვასარევიჩუსმა აღნიშნა, რომ ინგლისურენოვან დასკვნაში ლაბორატორიებთან დაკავშირებით გაცემულია ორი რეკომენდაცია. ტექნოლოგიების სკოლის დეკანმა, შოთა ნიჟარაძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტში არსებული ლაბორატორიები როგორც დარგის, ისე სხვადასხვა მიმართულებით უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას. დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები გაიზიარა, თუმცა ლაბორატორიების გაუმჯობესების ნაწილში ეს გეგმები ისედაც არსებობდა. „ელექტრონული სისტემების სარელეო დაცვის“ სასწავლო კურსში მოცემული ორი საათი ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის წარმოადგენს ტექნიკურ ხარვეზს, რომელიც ახლო მომავალში გამოსწორდება. „ელექტრონული მანქანების“ და „ძალოვანი ელექტრონიკის“ სასწავლო კურსებში საერთოდ არ იყო მითითებული ლაბორატორიული მეცადინეობებისათვის განკუთვნილი დრო, თუმცა ეს ხარვეზი ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდეგ მალე გასწორდა.

საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, შრომის ბაზრის ანალიზში და დამსაქმებელთა გამოკითხვაში ციფრები არ არის მოცემული. აღნიშნული დოკუმენტები შემოიფარგლებიან მხოლოდ შემდეგი სიტყვებით: „გაიზრდება“, „მკვეთრად გაიზრდება“, „მოთხოვნა უფრო მეტი იქნება“ და ა.შ. მას აინტერესებდა, რა არის ამის მიზეზი?

პროგრამის ხელმძღვანელმა, გიორგი არზიანმა აღნიშნა, რომ არსებობს ციფრები „ინჰაუს“ კვლევაზე დაყრდნობით და არა ინტერვიუების საფუძველზე. ამჟამად დაწესებულებამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ ეს ციფრები სააშკარაოზე არ გამოეტანა.

საბჭოს წევრმა, ქეთევან ქუთათელაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, ექსპერტები დასკვნაში აღნიშნავენ შემდეგს: „უნივერსიტეტს არ აქვს ენერგო სისტემებთან და ენერგეტიკულ ელექტრონიკასთან დაკავშირებული ლაბორატორიები“. მას აინტერესებდა, რა პერიოდში შეძლებდა დაწესებულება აღნიშნული ლაბორატორიების შექმნას? მან აღნიშნა, რომ დარგობრივი მიმართულებით პროგრამაზე არის ათი პროფესორი, თუმცა დანართში, რომელიც ეხება პროგრამაში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, დარგობრივი მიმართულებით მოცემულია სამი პროფესორი. მას აინტერესებდა, არის თუ არა ეს ტექნიკური ხარვეზი?

შოთა ნიჟარაძემ აღნიშნა, რომ 2 - 3 წლის განმავლობაში მოხდება ენერგო სისტემებისა და ენერგეტიკული ელექტრონიკის ლაბორატორიების შექმნა. დარგობრივი მიმართულების პერსონალთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ პროგრამაზე ვიწრო ენერგეტიკის მიმართულებით არის სამი აკადემიური, ხოლო დანარჩენი მოწვეული პერსონალი. დარგობრივში გათვალისწინებულია საინჟინრო მიმართულების პერსონალი.

საბჭოს წევრმა, აკაკი ხელაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რატომ არის პროგრამაზე გათვალისწინებული გადასახდელი თანხა 4590 ლარი? გარდა ამისა, რამდენი სტუდენტის მიღებას გეგმავს დაწესებულება ახლო მომავალში აღნიშნულ პროგრამაზე?

შოთა ნიჟარაძემ განაცხადა, მხოლოდ ორი პროგრამა არსებობს "ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის" მიმართულებით საქართველოში. „კავკასიის უნივერსიტეტი“ არის პირველი კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელმაც დაიწყო ენერგეტიკის მიმართულებით პროგრამის შემუშავება. უნივერსიტეტი მიიჩნევს, რომ 4590 ლარი არ არის სწავლის მაღალი საფასური. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ სტატისტიკის მიხედვით, 30 – 40% სტუდენტებისა პროგრამაზე სწავლის შიდა დაფინანსებას იღებენ. მისი თქმით, რთულია განისაზღვროს სტუდენტთა რაოდენობა პროგრამაზე მიღებისას. დაწესებულება დაკვირვებას ახდენს იმისას თუ რამდენი ადამიანი ინტერესდება "ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის" მიმართულებით. შესაბამისად, დაკვირვების შედეგად მიღებული შედეგების შემდეგ მოხდება პროგრამაზე სტუდენტთა რაოდენობის მიღების განსაზღვრა.

საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში მოცემულია შემდეგი ტერმინები კონკრეტულ საგნებთან მიმართებით: „დაბალი“, „საშუალო“ და „მაღალი“. მას აინტერესებდა, რა იგულისხმებოდა მათში?

შოთა ნიჟარაძემ განაცხადა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში იმიტომ არის ეს ტერმინები ნახსენები, რომ სხვადასხვა მიმართება და სხვადასხვა დატვირთვა აქვს კონკრეტულ საგანს კონკრეტულ შედეგთან მიმართებაში. შესაბამისად, ამ ტერმინოლოგიის ქვეშ ხდება დაზუსტება „გაცნობის“, „გაღრმავებისა“ და „განმტკიცების“ საკითხის ხაზგასმა.

## **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 16:20**

**დასრულების დრო: 16:49**

## **სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ენერგეტიკისა და ელექტროინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ვადით, ერთი წლის და 6 თვის თავზე მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით.

## **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

## **გადაწყვეტილება:**

უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup>- ემუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> - ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“<sup>1</sup> ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის № 223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ენერჯ ეტიკისა და ელექტროინჟინერის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2026 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის და 6 თვის თავზე მონიტორინგის განხორციელების ვალდებულებით.

## **საბოლოოდ საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:**

### **რეკომენდაციები**

- სტუდენტების მიერ შესრულებული ლაბორატორიული სამუშაო მითითებული უნდა იყოს სილაბუსში.
- ლაბორატორიული აღჭურვილობის ბაზა საჭიროებს გაუმჯობესებას, განსაკუთრებით ელექტრო მანქანების ლაბორატორია და ქარისა და მზის ენერჯის ლაბორატორია.

### **რჩევები:**

- ყველა სასწავლო კურსი არის 5-6 ECTS კრედიტიანი. სამომავლოდ, სასურველია, რომ უფრო მნიშვნელოვანი სასწავლო კურსებისთვის (რომლებიც უკავშირდება ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას და მოიცავს სავარჯიშოებს ან/ და ლაბორატორიულ სამუშაოებს ან/ და საკურსო ნაშრომს) გამოიყოს 9 ECTS, ხოლო 3 ECTS საკმარისი იქნება ნაკლებად მნიშვნელოვანი კურსებისთვის (მაგალითად, თუ მოცემული კურსის სწავლის შედეგებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის მჭიდრო კავშირი არ არის).
- სასწავლო პროგრამის დაწყების შემდეგ ჩაატარეთ შიდა და გარე დაინტერესებული მხარეების (დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, პროფესიული ასოციაციები და ა.შ.) გამოკითხვები პროგრამის სწავლის შედეგების შესახებ.
- მუდმივად განაახლეთ ტექნიკურ/ საინჟინრო სასწავლო კურსებში გამოყენებული ლიტერატურა.
- უნივერსიტეტს ერაზმუსის ფარგლებში ფართო ურთიერთობა აქვს უცხოურ უნივერსიტეტებთან. ერაზმუსის თანამშრომლობა ასევე უნდა განვითარდეს ენერჯეტიკისა და ელექტროინჟინერიის სასწავლო პროგრამებისთვის.
- სასურველია, გაფორმდეს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები (ან ხელშეკრულებები) ენერჯეტიკის დარგის დაწესებულებებთან, რომლებსაც სურთ ამ კონკრეტული პროგრამის სტუდენტების მიღება.
- უნივერსიტეტმა უნდა გაზარდოს სტუდენტური თვითმმართველობის ცნობიერება.
- „აკადემიური წერის“ კურსის წარმართვისთვის აუცილებელია ენერჯეტიკისა და ელექტროინჟინერიის ტერმინოლოგიის და მისი შესატყვისი ინგლისური ტექნიკური ტერმინოლოგიის მცოდნე ლექტორი.

- აკადემიურმა პერსონალმა მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს სამეცნიერო პუბლიკაციებს. მნიშვნელოვანია პროგრამის ხელმძღვანელმა და აკადემიური პერსონალმა ნაშრომები გამოაქვეყნონ ისეთ კვლევით ჟურნალებში, რომლებიც ინდექსირებულია საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში.
- სასურველია, გაფართოვდეს სტუდენტების/ კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამის შემუშავებაში.

**3. მესამე საკითხი:** სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

საერთაშორისო ექსპერტი, ანუ ანნა ჯოსანი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ პროგრამის შესახებ ექსპერტთა ჯგუფმა დასკვნა ცენტრში წარმოადგინა 2023 წლის 28 დეკემბერს. მისი თქმით, ყველა სტანდარტი მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან. რეკომენდაციების დიდი ნაწილი უკავშირდებოდა მესამე სტანდარტს. მაგალითად, რეკომენდებული იყო სამაგისტრო თეზისის შემოწმების დროს შეფასების კრიტერიუმები ყოფილიყო ნათლად გაწერილი, რომელიც უფრო ნათლად გამოკვეთდა ორიგინალური კონტრიბუციის საჭიროებას, თუმცა დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია არ გაითვალისწინა. გარდა ამისა, რეკომენდაციები ეხებოდა დასაქმების და პრაქტიკის გავლის შესაძლებლობების გაძლიერებას პროგრამაში. მან აღნიშნა, რომ ერთ-ერთი რეკომენდაცია უკავშირდებოდა ხარისხის უზრუნველყოფის ნაწილს კერძოდ, რეკომენდებულია ის პროცესები, რომლებიც მოაზრებულია ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის ქვეშ გახდეს ნათელი და გამოყენებაზე ორიენტირებული. მესამე რეკომენდაცია ეხებოდა ინფორმირების საკითხს კერძოდ, სტუდენტთა მიერ მათი ნაშრომების შეფასების გასაჩივრებას და პლაგიატის შემთხვევების პრევენციული ღონისძიებების შესახებ ცნობიერების ამაღლებას. მისი თქმით, მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა სტუდენტთა პრაქტიკის გავლის შესაძლებლობების გაზრდას. ამით ისინი შეძლებენ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას და შესაბამისი უნარების გამომუშავებას. ერთ-ერთი რეკომენდაცია ეხებოდა სამეცნიერო კვლევითი კომპონენტის და სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასებას. სტუდენტები ჩართული უნდა იყვნენ სამეცნიერო პუბლიკაციების მომზადების პროცესში დასაქმების ხელშეწყობის მიზნით. მან აღნიშნა, რომ ბოლო რეკომენდაცია ეხებოდა

კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის არსებობას საუნივერსიტეტო ბაზაზე კერძოდ, ეკონომეტრიკის მხრივ, რომელიც მოითხოვს მონაცემთა დამუშავებასა და ანალიზს სპეციალური პროგრამის საშუალებით.

### **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელი, რომელიც გალდავა მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, პროგრამა არის ახალი და ბუნებრივია იქნებოდა ხარვეზები, თუმცა დაწესებულება ამ მიმართულებით გააგრძელებს მუშაობას არსებული ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით. ამრიგად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ ყველა რჩევასა და რეკომენდაციას იზიარებს.

### **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით. მისი თქმით, უნივერსიტეტს ჩატარებული აქვს შრომის ბაზრის კვლევა არა „ეკონომიკის“, არამედ „ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით“. მას აინტერესებდა, რა არის ამის მიზეზი. გიორგი ლაღანიძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მან აღნიშნა, რომ 4.5 რეკომენდაცია ეხებოდა პროგრამული უზრუნველყოფის შექმნას ეკონომეტრიკის კურსისთვის, ხოლო 1.3 რჩევა იმეორებს მსგავს შინაარსს. მას აინტერესებდა, არის თუ არა ეს ტექნიკური ხარვეზი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რომელიც გალდავამ განაცხადა, რომ შრომის ბაზრის კვლევა ნამდვილად არა „ეკონომიკის“, არამედ „ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით“ არის ჩატარებული, თუმცა მასში კარგად ჩანს რა მიმართულებით სურთ აბიტურიენტებს საერთო სამაგისტრო გამოცდების გამოცდების ჩაბარება. აღნიშნულ პროგრამაზე ბიზნესის კურსდამთავრებულების მხრიდან შეიძლება იყოს მოთხოვნა. გარდა ამისა, ბიზნესის ადმინისტრირებას და ეკონომიკას ერთმანეთთან არსებითი კავშირი აქვს.

ექსპერტმა ეკა გეგეშიძემ განაცხადა, რომ უნივერსიტეტში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა ვერ ნახა ვერცერთი ვერსია „სტატასი“. ექსპერტებს არ სურდათ, რომ ერთი და იგივე რეკომენდაცია რამდენჯერმე გაეცა პროგრამის მიმართ. შესაბამისად, ერთი ნაწილი რჩევის, ხოლო მეორე ნაწილი რეკომენდაციის ნაწილში გადანაწილდა. სტუდენტები სწავლობენ „ეკონომეტრიკას“, თუმცა არ იყენებენ „სტატას“. ექსპერტთა ჯგუფს სჯერა, რომ უნივერსიტეტი ახლო მომავალში შეიძენს მას.

საბჭოს წევრმა, ვასილ კიკუტაძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, როგორც არის განსაზღვრული სამაგისტრო ნაშრომზე და პრაქტიკაზე დაშვების წინაპირობები. რომელიც გალდავამ აღნიშნა, რომ სტუდენტს ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი უნდა ჰქონდეს გავლილი, რათა დაიშვას სამაგისტრო ნაშრომზე.

საბჭოს წევრმა, თამარ ტუფინაშვილმა დაწესებულებას მიმართა, რომ 1.5 ქვესტანდარტში მოცემულ რჩევებთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია მოეწოდებინა აკრედიტაციის საბჭოსთვის.

ექსპერტმა ეკა გეგეშიძემ განაცხადა, რომ „ეკონომიკის“ სასწავლო ლიტერატურა ქართულენოვანი პროგრამისათვის არ მოიპოვება, თუმცა ასეთი სახის ტყვეულტურის შექმნის პოტენციალი დაწესებულებას გააჩნია. რომელიც გალდავამ აღნიშნა, რომ სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული იყო მხოლოდ გერმანული ლიტერატურა, თუმცა ეს არ ნიშნავდა იმას, რომ სხვა საგანზე დაშვებისას სტუდენტს პრობლემა შეექმნებოდა. მან ხაზი გაუსვა იმას, რომ უნივერსიტეტი მუშაობს ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით.

პროგრამის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, მურმან კვარაცხელიამ აღნიშნა, რომ პროგრამა ახალია და ამ მიმართულებით ცოტა ლიტერატურა არსებობს. ამჟამად მხოლოდ რიდერების მომზადება ხდება აკადემიური პერსონალის მიერ. შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით

გაცემულ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ ბიზნესი და ეკონომიკა ე.წ „მონათესავე“ დარგია, თუმცა არა იდენტური. შესაბამისად, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით შრომის ბაზრის კვლევის ჩატარება გამართლებულია.

სხდომის თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მისი თქმით, სასწავლო გეგმაში არ ჩანს არჩევით კურსებში დარგობრივი მიმართულება. მაგალითად, „ქცევის ეკონომიკა“, „აგრარული ეკონომიკა“, „განათლების ეკონომიკა“ და ა.შ. მას აინტერესებდა, რა არის ამის მიზეზი. გარდა ამისა, პროგრამაზე არსებული ლიტერატურა რამდენად შეესაბამება აღნიშნულ სამაგისტრო საფეხურს. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მსგავსი პროგრამა შემუშავებული აქვს თსუ-ს. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აქცენტს აკეთებს ეკონომიკურ პოლიტიკასა და დიპლომატიაზე. ის ძირითადი საგნები ისწავლება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღნიშნულ პროგრამაზე, რომლებსაც თსუ-ს სტუდენტები სწავლობენ საკუთარ „ეკონომიკის“ პროგრამაზე.

ექსპერტმა ეკა გეგეშიძემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას არჩევით საგნებში წარმოდგენილი აქვს შემდეგი სასწავლო კურსები: „დემოგრაფია და მოსახლეობის ეკონომიკა“, „რესურსების გამოყენების ეკონომიკა და პოლიტიკა“, „ციფრული ეკონომიკა“, „გლობალიზაციის მიმართულება“, „მიგრაციის მიმართულება“, „ეკონომიკური პოლიტიკის ინსტიტუციები და განვითარება“, „ეკონომიკური უსაფრთხოება“, „აგრარული პოლიტიკა“, „საუნივერსიტეტო დიპლომატიკა“ და ა.შ. მისი თქმით, აკადემიური თავისუფლებიდან და პროგრამის სტრუქტურულიდან გამომდინარე დაწესებულებას აქვს სრული დამოუკიდებლობა თვითონ განსაზღვროს არჩევითი საგნები. სასურველი იქნება თუ დაწესებულება დაამატებს „ქცევის ეკონომიკას“, „აგრარულს ეკონომიკას“ და „განათლების ეკონომიკას“ არჩევითი საგნების ჩამონათვალში.

სხდომის თავმჯდომარემ, გოჩა თუთბერიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, „ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის“ სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული პირველი სახელმძღვანელო რამდენად რელევანტურია აღნიშნულ სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით. გარდა ამისა, არის თუ არა მიზანშეწონილი სავალდებულო ლიტერატურად მითითებული იყოს დისერტაციები. მისი თქმით, „ეკონომიკური წესრიგის პოლიტიკის“ სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია ლიტერატურა სასწავლო გვერდების მითითებით. მას აინტერესებდა, რას ნიშნავს ეს.

ექსპერტმა ეკა გეგეშიძემ აღნიშნა, რომ „ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის“ სასწავლო კურსის სილაბუსში ძირითად ლიტერატურად მითითებულია უცხოური ლიტერატურა, თუმცა სილაბუსის თემატიკა თანმიმდევრულად არ მიყვება ინგლისურენოვან სახელმძღვანელოებს. პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ „ფისკალური და მონეტარული პოლიტიკის“ სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებული დისერტაციები აღნიშნავენ ლექტორის მიერ გამოყენებულ მასალას კონკრეტული თემის წაკითხვისას. შესაბამისად, ზოგიერთი თემის განხილვისას ის იყენებს დისერტაციებს და სილაბუსში უთითებს იმ გვერდებს, რომლებიც უკვე ახსნა.

საბჭოს წევრმა, აკაკი ხელაძემ კითხვით მიმართა ექსპერტებს. მას აინტერესებდა, რატომ არის 4.5 ქვესტანდარტი შეფასებული მეტწილად შესაბამისობაში აკრედიტაციის მოთხოვნებთან. მან კითხვით მიმართა დაწესებულებას და აინტერესებდა, როგორია ბიუჯეტის ფორმირების პრინციპი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, რომეო გალდავამ განაცხადა, რომ პროფესორების ანაზღაურება განისაზღვრება ფაკულტეტის ბიუჯეტით, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის ნაწილია. ყოველივე ამას განსაზღვრავს დაწესებულებაში შემუშავებულია ბიუჯეტის შედგენის კონცეფცია.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება  
დაწყების დრო: 18:00**

## დასრულების დრო: 18:37

### სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის მინიჭების საკითხი კლასტერის ერთი წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

### კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

### გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27<sup>2</sup> -ე მუხლის პირველი პუნქტის, 27<sup>5</sup> -ემუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27<sup>6</sup> -ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ეკონომიკის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2028 წლის 31 დეკემბრამდე, 1 წლის თავზე ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

### საბოლოოდ საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები და რჩევები:

#### ▪ რეკომენდაციები:

#### სტანდარტის 1.1

• გააფართოვეთ ბაზრის კვლევის ფარგლები, რათა ჩაუღრმავდეთ ეკონომიკის სფეროს კონკრეტულ მოთხოვნებსა და ტენდენციებს. გაცდით ზოგად გამოკითხვებს და შეაგროვეთ დეტალური ინფორმაცია ბაზრის მოთხოვნებისა და პროგრამის პოპულარობის სირთულეების შესახებ, რაც შესაძლებელს გახდის უფრო მიზანმიმართული სასწავლო გეგმის შემუშავებას.

• შეუსაბამეთ პროგრამა უნივერსიტეტის მისიას და ხაზი გაუსვით მის როლს სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის დისციპლინური და კულტურათაშორისი თანამშრომლობის ხელშეწყობაში. წარმოაჩინეთ ის შემთხვევები, როდესაც პროგრამა ხელს უწყობს ინოვაციას, ინტერნაციონალიზაციას და მრავალფეროვნებას დაწესებულების შიგნით.

#### სტანდარტი 1.3.

• სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსი უნდა შეიცვალოს და მასში უფრო მეტად იქნეს წარმოდგენილი შეფასების კრიტერიუმები სამაგისტრო ნაშრომების სათანადო შეფასებისთვის.

#### სტანდარტი 2.4

• აუცილებელია სტუდენტებს მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ შეფასების გასაჩივრების შესახებ, ასევე ინფორმაცია პლაგიატზე და უნივერსიტეტის დებულებაზე პლაგიატთან დაკავშირებით.

#### სტანდარტი 4.5

- უნივერსიტეტმა დროულად უნდა შეიძინოს შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა ეკონომეტრიული კურსისთვის ან შეარჩოს სხვა უფასო პროგრამა ეკონომეტრიული სწავლებისთვის და ამის შესაბამისად მოამზადოს კომპიუტერები სასწავლო პროცესისთვის, ასევე შეცვალოს სილაბუსები.

### **სტანდარტი 5.3**

- უზრუნველყოფილ იქნას მაგისტრანტების მერ სამეცნიერო კვლევის კომპონენტისა და სამეცნიერო ხელმძღვანელობის განხორციელების შეფასება.

### **რჩევები:**

#### **სტანდარტი 1.1**

- დახვეწეთ პროგრამის დოკუმენტაცია, რათა უფრო ნათლად წარმოაჩინოთ მისი წვლილი ეკონომიკის სფეროსა და საზოგადოებაში. მკაფიოდ აჩვენეთ, თუ როგორ პასუხობს პროგრამა ეკონომიკური ლანდშაფტის ფარგლებში გაჩენილი შესაძლებლობების გამოყენებისას არსებულ აწმყო და სამომავლო გამოწვევებს.
- ხელი შეუწყვეთ შრომის ბაზრის დაინტერესებულ მხარეების ფორმალურ და ინკლუზიურ ჩართულობას. მოითხოვეთ მათი უკუკავშირი და შეხედულებები პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების დახვეწისა და გადასინჯვის მიზნით. დარგის დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართვით, პროგრამა შეიძლება უფრო მეტ შესაბამისობაში მოვიდეს ბაზრის მიმდინარე საჭიროებებსა და დარგის მოლოდინებთან.

#### **სტანდარტი 1.2**

- შეფასების მიგნებებში ხაზი გაესვა ეკონომიკური თეორიების უფრო პრაქტიკული გამოყენების აუცილებლობას, რაც გამოიწვევს საქმის შესწავლისა და მოდელირების დანერგვას და ინტენსიურ გამოყენებას რეალურ სამყაროში.

#### **სტანდარტი 1.3**

- ძალზე სასურველია თანამედროვე ეკონომეტრიული მოდელების ან პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენება ეკონომიკური მოდელირების სემინარებში. ასეთი მიდგომით შემუშავებულ სასწავლო პროგრამას შეეძლება განვითარდეს დარგის ცვლილებებთან ერთად, რაც უზრუნველყოფს უკეთეს სწავლის შედეგებს და პრაქტიკულ გამოყენებას სტუდენტებისთვის.
- სტუდენტთა კმაყოფილების შესაფასებლად ანონიმური ონლაინ გამოკითხვების გამოყენება და შემეცნების სწავლების შემდგომი მეთოდის განხორციელება ღირებულ პრაქტიკას წარმოადგენს. ეს გამოკითხვები კარგად ზომავს სწავლების მეთოდების ეფექტიანობას წინასწარ განსაზღვრული სასწავლო მიზნების მისაღწევად და გვთავაზობს ღირებულ უკუკავშირს მუდმივი განვითარებისთვის.

#### **სტანდარტი 1.4**

- მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტი გვთავაზობს კლასგარეშე აქტივობებს, დარგთან დაკავშირებული ვიზიტების არარსებობამ შესაძლოა ხელი შეუშალოს ეკონომიკის სპეციალობის სტუდენტებს სრულყოფილად დაეუფლონ მასალას.
- ფაკულტეტის წევრებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების კულტურის ხელშეწყობა, როგორც სწავლებისა და სწავლის კოლეგიალური შეფასება, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია კოლექტიური ზრდისა და ჩვენი საგანმანათლებლო სტანდარტების გაუმჯობესებისთვის. ღია დისკუსიების, სემინარების ან ფორუმების ხელშეწყობა საშუალებას მისცემს ფაკულტეტს გაიზიაროს წარმატებული სწავლების სტრატეგიები, ინოვაციური ტექნიკები და გამოცდილება, რამაც შეიძლება მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს ჩვენი საგანმანათლებლო პრაქტიკა.



## სტანდარტი 1.5

- პროგრამისთვის კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტი დაიწყებს ქართულენოვანი ლიტერატურის მომზადებას პროგრამის კურსებისთვის.
- პროგრამის სტუდენტებისთვის მიწოდებული სასწავლო მასალა უნდა შეესაბამებოდეს მათ ენობრივ უნარებს.
- უზრუნველყოფილ იქნეს სასწავლო პროგრამაში გამოყენებული ლიტერატურის სამაგისტრო დონესთან შესაბამისობა.

## სტანდარტი 2.1

- იმისთვის, რომ მომავალი სტუდენტებისათვის მოთხოვნები ცხადი იყოს, ჩვენ მოგაწოდებთ სპეციალობის ტესტის ნიმუშს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ვებსაიტზე.

## სტანდარტი 2.2

- გარკვეულწილად უნდა გაუმჯობესდეს სამეცნიერო/ კვლევითი მიმართულება, რაც ასევე აუცილებელია სამაგისტრო განათლებისთვის.

## სტანდარტი 2.3

- საჭიროა უფრო მკაფიო დეტალები, თუ როგორ ტარდება გამოკითხვები, როგორ ხდება მონაცემთა ანალიზი, როგორ ხდება ხარისხის უზრუნველყოფის დაცვა და დგინდება სამიზნე ნიშნულები. ასევე, იმის ჩვენება, თუ როგორ აისახება ეს შედეგები სწავლების მეთოდის გაუმჯობესებაზე. გარდა ამისა, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა შეფასებებში, გაზრდის პროგრამის ეფექტურობას. ხარისხის უზრუნველყოფის სტრუქტურირებული ჩარჩოს დანერგვა, კურსის შეფასების მექანიზმების ფორმალიზება და უკუკავშირის კვლევების გაუმჯობესება, გაზრდის უკუკავშირის სისტემების ეფექტურობასა და სანდოობას.
- უნდა დაინერგოს რეგულარული საფაკულტეტო ვორქშოპები, რომლებიც რეალურ სამყაროში არსებულ ეკონომიკურ პრობლემებს ასახავს კურსებში. სწავლების სტრატეგიების გადრმავება და პერიოდული ტრენინგების საშუალებით სფეროს სტანდარტებთან მათი შესაბამისობა გაზრდის პროგრამის პრაქტიკულ აქტუალობას და განაახლებს სწავლების მეთოდებს.
- შეტანილ იქნეს სასწავლო პროგრამაში ეკონომიკური პოლიტიკის შესახებ დებატები და შემთხვევის შესწავლა, ჩატარდეს საფაკულტეტო ტრენინგები ამ დისკუსიების ეფექტიანად მოდერაციისთვის და წახალისებულ იქნეს სტუდენტების მიერ წარმართული დისკუსიები სწავლაში ჩართულობისა და ავტონომიურობის გასაძლიერებლად.
- სტუდენტებს თბილი და არაფორმალური ურთიერთობა აქვთ პერსონალთან, რაც კარგია აღმზრდელობითი გარემოს გასაუმჯობესებლად, თუმცა, შეფასებების ობიექტურობის გასაძლიერებლად საჭიროა სტუდენტებთან ფორმალური კომუნიკაციის არხების დამყარება შეფასების კრიტერიუმებთან, ანტიპლაგიატის (თუ პლაგიატის საწინააღმდეგო?) პოლიტიკასთან და მოლოდინებთან დაკავშირებით.
- ხელი შეეწყოს ფაკულტეტის წევრებს შორის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების კულტურას, როგორცაა მაგალითად სწავლებისა და სწავლის ურთიერთშეფასება, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი საგანმანათლებლო სტანდარტების ზრდისა და გაუმჯობესებისთვის. ღია დისკუსიების, სემინარების ან ფორუმების წახალისებამ, სადაც ფაკულტეტს შეუძლია გაიზიაროს წარმატებული სწავლების სტრატეგიები, ინოვაციური ტექნიკა და გამოცდილება, შეიძლება მნიშვნელოვნად გაამდიდროს ჩვენი საგანმანათლებლო პრაქტიკა.

## სტანდარტი 3.1

- სასურველია, უნივერსიტეტმა მეტი დრო დაუთმოს პრაქტიკული სამუშაოს დახვეწას და შესთავაზოს იგი სტუდენტებს.

## სტანდარტი 4.2

სასურველია, უნივერსიტეტმა მხარი დაუჭიროს აკადემიურ პერსონალის უნარების ამაღლებას ეკონომიკური კვლევის პროგრამული უზრუნველყოფის მიმართულებით.

## სტანდარტი 4.5

• პროგრამის ბიუჯეტში მითითებული უნდა იყოს ყველა ხარჯი, პროფესორთა საათობრივი ხელფასის ჩათვლით.

## სტანდარტი 4.4

• უზრუნველყავით, რომ ბიბლიოთეკამ იმუშაოს უნივერსიტეტის წესების შესაბამისად.  
• კარგი იქნება, თუ უნივერსიტეტი ყველა აუდიტორიისთვის პროექტორს ან სმარტდაფას შეიძენს.

**4. მეოთხე საკითხი:** სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საკვები პროდუქტების გადამუშავება და სამაცივრო ტექნოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება** - „საკვები პროდუქტების გადამუშავება და სამაცივრო ტექნოლოგია

**საფეხური** - ბაკალავრიატი

**სწავლების ენა** - ქართული

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია** - ინჟინერიის ბაკალავრი სასურსათო ტექნოლოგიაში

**დეტალური სფეროს კოდი** - 0721 სურსათის გადამუშავება

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

✓ არა

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

✓ კი

**თვითაცილება განაცხადა ქეთევან ქუთათელაძემ.**

**თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.**

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

**მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტი თამარ სანიკიძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2023 წლის 13 იანვრის N23935 გადაწყვეტილებით „საკვები პროდუქტების გადამამუშავებისა და სამაცივრო ტექნოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია კლასტერულ ვადამდე. მისი თქმით, აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში მოცემული რჩევები და რეკომენდაციები და პროგრამას განუსაზღვრა სამი რეკომენდაცია და რვა რჩევა. დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია შეასრულა, ხოლო რჩევებთან დაკავშირებით არგუმენტირებულ პოზიციებში არაფერია ნათქვამია. თამარ სანიკიძის თქმით, რეკომენდებული იყო სწავლის შედეგების შეფასებისთვის კონკრეტული არაპირდაპირი შეფასების მეთოდების და მათი სამიზნე ნიშნულების განსაზღვრა, ასევე, პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასების მეთოდებად განსაზღვრულიყო კონკრეტული დავალება/ნაშრომი/შეფასების კომპონენტი. უსდ-მ შეიმუშავა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის გაწერილი თუ როგორ არის ჩართული ფაკულტეტის ადმინისტრაციული ერთეულები საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფაში. გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების კრიტერიუმები: პირდაპირი და არაპირდაპირი შეფასების კრიტერიუმები და საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ციკლი და პროცესების თანმიმდევრობა. მან აღნიშნა, რომ განისაზღვრა პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით განსაზღვრულ ბაკალავრიატის საფეხურის შესაბამის (დონე 6) დონესთან. გაიწერა პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები და განისაზღვრა სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, რომელიც მოიცავს თითოეული სწავლის შედეგის დაგეგმვის, შეფასების, ანალიზის, პერიოდული მონიტორინგის და განვითარების მეთოდებს. რეკომენდებული იყო საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და შეფასების შედეგების პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის გამოყენების მიმართულებით ძალისხმევის გაძლიერება. მისი თქმით, დაწესებულებამ შეასრულა აღნიშნული რეკომენდაცია, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფს გაუზიარა კონკრეტული ტრენინგების გავლის შედეგად დამადასტურებელი სერტიფიკატები. რეკომენდებული იყო პროგრამული ბიუჯეტის გადახედვა თანხების განაწილების, მათ შორის პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო ფინანსური რესურსების, ასევე სტუდენტური აქტივობების განვითარებისთვის საჭირო ფინანსების კუთხით. დაწესებულებამ შეასრულა აღნიშნული რეკომენდაცია. საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საბაკალავრო პროგრამის ბიუჯეტში წარმოდგენილი ხარჯებით გაზრდილია პროგრამის განვითარებისთვის დარჩენილი სახსრები 27, 977 ლარით. ასევე გაზრდილია პროფესორების ხელფასები 1, 766 ლარით. თუმცა შემცირებულია სტუდენტური აქტივობებისათვის თანხები 139 ლარით. თამარ სანიკიძემ ხაზი გაუსვა იმას, რომ თანხების გადანაწილებაში საგრძნობლად არის გაზრდილი პროგრამის განვითარებისთვის დარჩენილი სახსრები, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის განვითარებას.

### **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

დაწესებულების წარმომადგენელი, დავით მახვილაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია, ხოლო რვა რჩევიდან ექვსი რჩევა სრულად გაითვალისწინა.

### **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა დაწესებულებას მიმართა, რომ მეექვსე და მეშვიდე რჩევასთან დაკავშირებით მეტი ინფორმაცია მოეწოდებინა აკრედიტაციის საბჭოსთვის. პროგრამის ხელმძღვანელმა, გივი გოლეითიანმა განაცხადა, რომ მატერიალურ-ტექნიკურ

ბაზებთან დაკავშირებით გადადგმულია გარკვეული ნაბიჯები. დაწესებულებას შეძენილი აქვს უნიკალური ლაბორატორიული მაცივარი. სტუდენტები სწავლობენ თუ როგორ შეიძლება აკუსტიკური ტექნოლოგიის გამოყენებით მცენარეული და ცხოველური პროდუქციის ხანგრძლივად შენახვის ვადების გახანგრძლივება. მისი თქმით, გერმანული პარტნიორების დახმარებით შეძენილია ლაბორატორიული სტენდი. გარდა ამისა, დანიური ფირმა „დაფოსის“ მხრიდან მოწოდებული იქნა მეთოდური მითითება და შესაბამისი აღჭურვილობა.

საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, ამ პროგრამის ფარგლებში მოიაზრება თუ არა ღრმა გაციების სისტემების სწავლება. გარდა ამისა, რამ განაპირობა სტუდენტების თავისუფლად დაშვებასთან დაკავშირებით პროგრამაზე რჩევის გაცემა. პროგრამის ხელმძღვანელმა, გივი გოლეთიანმა აღნიშნა, რომ დაწესებულების ერთ-ერთი პარტნიორია ლატვიური ფირმა „კაიამბა“, რომელიც ევროპაში ცნობილია შოკური მაცივრების წარმოებით. როდესაც შოკურ მაცივარში გამოიყენება თანამედროვე აკუსტიკური ტექნოლოგია, ეს საშუალებას იძლევა პროდუქტის ღრმა გაყინვის პერიოდში, პროდუქტის უჯრედში, სადაც წარმოიშობა კრისტალები, ამ კრისტალების სიდიდე არ იყოს უჯრედზე დიდი, რადგან არ დააზიანოს გაყინვის დროს უჯრედი. საქართველოს კვების პროდუქტების კომპანია „პანტას“ მიერ ღრმა გაყინვით შენახული იქნა მოცვი იმისათვის, რომ მომხდარიყო იმის დადგენა თუ რამდენი ხნით შეიძლება მოცვის შენახვა. შესაბამისად, ღრმა გაყინვის მიმართულებით დაწესებულებას გარკვეული ნაბიჯები გადადგმული აქვს.

ექსპერტმა თამარ სანიკიძემ მეშვიდე რჩევასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ სტუდენტებს უნივერსიტეტის სხვადასხვა კორპუსში უწევდათ ლაბორატორიულ სივრცეებში ყოფნა. შესაბამისად, დაწესებულებას და ფაკულტეტს ხელი უნდა შეეწყოს მობილობისათვის, რადგან ყველა ლაბორატორიის ერთ სივრცეში აკუმულირება არარელევანტურია.

## **სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 19:00**

**დასრულების დრო: 19:02**

## **სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საკვები პროდუქტების გადამამუშავება და სამაცივრო ტექნოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

## **კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

## **გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27<sup>6</sup> - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2<sup>11</sup> პუნქტის საფუძველზე, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „საკვები პროდუქტების გადამამუშავება და სამაცივრო ტექნოლოგიის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

**5. მეხუთე საკითხი:** შპს საქართველოს უნივერსიტეტის “ბიზნეს ანალიტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ბიზნეს ანალიტიკა**

**საფეხური - ბაკალავრიატი**

სწავლების ენა - ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

დეტალური სფეროს კოდი - 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

✓ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

✓ არა

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

**მეხუთე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

აკრედიტაციის ექსპერტი ეკა ლევაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ პროგრამის მიმართ გაიცა 18 რეკომენდაცია და 17 რჩევა. დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიში რეკომენდაციების შესრულების შესახებ, ხოლო რჩევებთან დაკავშირებით ინფორმაცია არ მოუწოდებია. მისი თქმით, ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით შესრულდა 12 რეკომენდაცია, ნაწილობრივ შესრულდა 3 რეკომენდაცია და 3 რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული. ამრიგად, შესაფასებელი ანგარიშის და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ შესრულდა 9 რეკომენდაცია, 4 რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულდა და 5 რეკომენდაცია არ იქნა შესრულებული. მან განაცხადა, რომ პირველი რეკომენდაცია შესრულებულია, რომელიც უკავშირდებოდა სწავლის შედეგების შესაბამისი ფრაზებითა და აქცენტიური ზმნების წარმოდგენას. მეორე რეკომენდაცია უნივერსიტეტის მიერ შესრულებულია, რომელიც რუკის შემუშავების საკითხს ეხებოდა. მესამე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „რეკომენდებულია სასწავლო კურსის სწავლის შედეგის პროგრამის სწავლის შედეგ(ებ)თან შესაბამისობა განისაზღვროს მიღწევის დონის დაკონკრეტებით, მაგ: გაცნობა, გაღრმავება, გამტკიცების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს კურიკულუმის რუკის მაღალ დონეს პროგრამის ფუნქციონალთან მიმართებაში.“ მისი თქმით, შესაფასებელი ანგარიშის და თანდართული დოკუმენტების შესწავლით დადასტურდა, რომ პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებაში აღქმადია თითოეული შედეგის მიღწევის დონე (გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების), თუმცა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაში არ არის ასახული. შესაბამისად, აღნიშნული რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულდა. მეოთხე რეკომენდაცია ეხებოდა სამიზნე ნიშნულების მიუღწევლობის შემთხვევაში რეაგირების მექანიზმების შემუშავებას, რომელიც დაწესებულებამ შეასრულა. მან აღნიშნა, რომ მეხუთე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „მიზანშეწონილია უსდ-მ მიღების წინაპირობებში კონკრეტულად განსაზღვროს ეროვნული გამოცდების მესამე საგანი და ინგლისური ენის დონის კომპეტენცია.“ მოცემული რეკომენდაცია დაწესებულებამ არ გაითვალისწინა. მეექვსე რეკომენდაცია უნივერსიტეტის მიერ სრულად შესრულებულია. მეშვიდე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ განახლებულ პროგრამის ძირითადი და ასარჩევი საგნების ჩამონათვალში არ იყო წარმოდგენილი სასწავლო კურსი „დაპროგრამების საფუძველები“ და არც

შესაბამისი სილაბუსი. შესაბამისად, ვერ მოხდება Python ენის სინტაქსის შესწავლა. ამრიგად, აღნიშნული რეკომენდაცია ნაწილობრივ შესრულდა. მერვე რეკომენდაცია დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა. მეცხრე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „სავალდებულო სასწავლო კურსი „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება (C#)“ ჩანაცვლდეს ან გახდეს არჩევითი და მის ადგილას შემოტანილ იქნას დაპროგრამების საფუძვლები Python ენაზე“. ეკა ლეკაშვილის თქმით, აღნიშნულ რეკომენდაცია არ იქნა გათვალისწინებული ბიზნეს ანალიტიკის პროგრამის ხელმძღვანელის ხედვის საფუძველზე. შესაბამისად, სასწავლო კურსი „ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება (C#)“ დარჩა ძირითადი სასწავლო კურსების ჩამონათვალში. ამასთან, როგორც ზედა რეკომენდაციის ანალიზში აღინიშნა, „დაპროგრამების საფუძვლების“ სასწავლო კურსი პროგრამით არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, დაწესებულების მიერ მოცემული რეკომენდაცია არ შესრულდა. მეათე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „სავალდებულო სასწავლო კურსი „IT სერვისების და პროექტების მენეჯმენტი“ გახდეს არჩევითი.“ ინსტიტუციამ არ გაითვალისწინა აღნიშნული რეკომენდაცია, რადგან მიიჩნია, რომ სასწავლო კურსის „IT სერვისების და პროექტების მენეჯმენტი“ თემატიკის დაფარვა არ ხდება სხვა ძირითადი სასწავლო კურსებით და ამ სასწავლო კურსის ფარგლებში შეთავაზებული საკითხები არსებითად მნიშვნელოვანია ბიზნეს ანალიტიკისთვის. შესაბამისად, დაწესებულების მიერ აღნიშნული რეკომენდაცია არ შესრულდა. მისი თქმით, მეთერთმეტე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „გაერთიანდეს სავალდებულო სასწავლო კურსები „ბიზნეს პროცესების ვიზუალიზაცია MS Visio-ს გამოყენებით“ და „ბიზნეს ანალიტიკის პროცესების მართვა“. ინსტიტუციის ინფორმაციით, აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულ არ იქნა, ვინაიდან აღნიშნულ კურსებს გააჩნიათ სრულიად განსხვავებული მიზანი და შედეგები, რაც თავის მხრივ წარმოადგენს პროგრამის შედეგების ნაწილს. მეორმეტე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „დაემატოს ციფრული მარკეტინგის კურსი, რომელიც აგრეთვე მოიცავს Google Analytics და Search Engine Optimization თემატიკებსაც“. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია დაწესებულების მიერ სრულად შესრულებულია. მეცამეტე რეკომენდაცია ეხებოდა არჩევითი სასწავლო კურსებიდან სავალდებულო სასწავლო კურსებში „ადამიანური რესურსების მართვის“, „მმართველობითი აღრიცხვის საფუძვლებისა“ და „რისკების მენეჯმენტის“ გადასვლას, რომელიც უნივერსიტეტმა ნაწილობრივ შეასრულა. მეოთხმეტე რეკომენდაცია ეხებოდა სავალდებულო სასწავლო კურსის სახით „აკადემიური წერის“ შეთავაზებას, რომელიც უნივერსიტეტმა ნაწილობრივ შეასრულა. დაწესებულებამ წარმოადგინა ახალი სასწავლო კურსი, რომელშიც არ ჩანს ის თემატიკა, რომელიც აკადემიური წერის მთავარ შედეგებს უზრუნველყოფს. მეთხთმეტე რეკომენდაცია უნივერსიტეტმა სრულად გაითვალისწინა. ეკა ლეკაშვილის თქმით, მეთექვსმეტე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „დაკორექტირდეს რიგი სასწავლო კურსების („საბაკალავრო პროექტი ბიზნეს ანალიტიკაში“, „მონაცემთა ვიზუალიზაცია“, „IT სერვისების და პროექტების მენეჯმენტი“) სილაბუსებში სწავლა სწავლების მეთოდები შინაარსის შესაბამისად.“ დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია არ შეასრულა. მოცემულ სასწავლო კურსების სილაბუსებში კერძოდ, სწავლა-სწავლების მეთოდებში კვლავ არ არის ასახული დემონსტრირების მეთოდი. ასევე, სასწავლო კურსის „IT სერვისების და პროექტების მენეჯმენტი“ სილაბუსში არ არის წარმოდგენილი გუნდური მუშაობის მეთოდი, რაც პროექტების დაგეგმვის და მართვის შედეგზე გასვლისთვის უმნიშვნელოვანესი მეთოდია. მეჩვიდმეტე რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა სრულად გაითვალისწინა რეკომენდაცია.

### **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, არჩილ ჯანგირაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული

შრომისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტს ჰქონდა განსხვავებული პოზიცია რეკომენდაციების ნაწილზე. მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ დაწესებულებას ბოლო სამი წლის განმავლობაში აქვს ის პოლიტიკა, რომ ნებისმიერ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აბიტურიენტი მიიღოს მხოლოდ ინგლისური ენის საფუძველზე. შესაბამისად, ეს უკვე განსაზღვრულია პროგრამის მიღების წინაპირობაში, თუმცა განსხვავებული მიდგომა არის სამაგისტრო პროგრამებზე, სადაც საჭიროებს ენობრივი კომპეტენციის დაკონკრეტებას. არჩილ ჯანგირაშვილმა განაცხადა, რომ დემონსტრირების მეთოდთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია გათვალისწინებულია. ექსპერტის მიერ დემონსტრირების მეთოდი მოთხოვნილი იყო „მონაცემთა ვიზუალიზაციაში“, თუმცა დაწესებულებას ამ უკანასკნელში ეწერა „გუნდურობა“, ხოლო „დემონსტრირება“, „IT სერვისების და პროექტების მენეჯმენტში“. ეს ტექნიკური ხარვეზი უკვე გასწორებულია. პროგრამის ხელმძღვანელმა, ქეთი ცხადაძემ შეუსრულებელ რეკომენდაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ „C#“-ი არის „Python“-საგან განსხვავებით უფრო ეფექტური ბიზნეს აპლიკაციების შექმნისთვის, რომელსაც არაერთი უცხოური უნივერსიტეტი იყენებს. ეს საშუალებას მისცემს სტუდენტს, რომ უფრო ხარისხიანად აწარმოოს ბიზნეს ანალიზი და სწორად ჩამოაყალიბოს ამ ანალიზის შედეგად შესაქმნელი მოთხოვნები შესაბამისი პროგრამირების უზრუნველყოფის შესაქმნელად. ქეთი ცხადაძის თქმით, მეთერთმეტე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „სავალდებულო სასწავლო კურსი „IT სერვისების და პროექტების მენეჯმენტი“ გახდეს არჩევითი“. დაწესებულებამ აღნიშნული რეკომენდაცია ვერ შეასრულა იმიტომ, რომ ამ კურსში განხილულია ისეთი საკითხები, როგორებიცაა „IT პროცესების დაგეგმვის და მართვის მეთოდები“, „განვითარების პროცესები“, „ადამიანურის რესურსების შერჩევის პროცესი“, „განვითარების მეთოდოლოგია“ და ა.შ. არის მნიშვნელოვანი ბიზნეს ანალიტიკოსისთვის, რათა პროექტის მართვის ფუნდამენტური პრინციპებს დაეუფლოს სტუდენტი. აღნიშნული საკითხების დაფარვა არ ხდება პროგრამაში წარმოდგენილი სხვა ძირითადი საგნებით. შესაბამისად, ამიტომ არ მოხდა „IT სერვისების და პროექტების მენეჯმენტის“ გადატანა არჩევით საგნების ჩამონათვალში. მისი თქმით, მეთორმეტე რეკომენდაცია დასკვნაში შემდეგი სახით იყო მოცემული: „გაერთიანდეს სავალდებულო სასწავლო კურსები „ბიზნეს პროცესების ვიზუალიზაცია MS Visio-ს გამოყენებით“ და „ბიზნეს ანალიტიკის პროცესების მართვა“. დაწესებულება გაესაუბრა ორივე საგნის კურატორს და დაადგინა, რომ ამ სასწავლო კურსების შედეგები წარმოადგენდა პროგრამის შედეგების ნაწილს. მან აღნიშნა, რომ აღნიშნულ კურსებში ისეთი თემატიკა არის მოცემული, რომლითაც ერთი საგნის გადაფარვა არ ხდება. შესაბამისად, დაწესებულებას მიზანშეწონილად არ მიაჩნია, რომ ეს ორივე საგანი გაერთიანდეს.

### **სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, წარმოედგინათ მოსაზრებები.**

საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რამდენად რელევანტურია „C#“-ით პროგრამირების დაწყება. გარდა ამისა, შეისწავლის თუ არა სტუდენტი ერთი საგნის ფარგლებში „Python“-ს და გამოიყენებს თუ არა მას ანალიზის მეთოდების სწავლაში.

პროგრამის ხელმძღვანელმა, ქეთი ცხადაძემ განაცხადა, რომ სტუდენტი „ბიზნეს ანალიტიკის შესავალი“ სასწავლო კურსის დროს სწავლობს „Python“-ს. სტუდენტი ასრულებს დავალებებს ვიზუალიზაციის და მონაცემთა ანალიტიკის მიმართულებით. IT კომპანიის წარმომადგენლების რეკომენდაცია იყო, რომ სტუდენტმა ისწავლოს „C#“-ი. ამრიგად, სანამ სტუდენტი მესამე სემესტრის ბოლო კურსზე „C#“-ის შეისწავლის, მანამდე მას საბაზისო ცოდნა ექნება „Python“-ის შესახებ.

ქეთევან ნანობაშვილმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რომელ სასწავლო კურსებში მოიაზრება პრაქტიკული დავალებები.

ქეთი ცხადადემ აღნიშნა, რომ კლასტერული აკრედიტაციის დროს დაწესებულება წარმოადგენს იმ სასწავლო კურსებს, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება პრაქტიკული დავალებები. არჩილ ჯანგირაშვილმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში არსებობს ე.წ. „კომპეტენციის ცენტრი“. ეს ცენტრი განსაზღვრავს კონკრეტულ პროგრამაში ამა თუ იმ კურსის სწავლების აუცილებლობას, რა თქმა უნდა, ჩატარებული კვლევების შესაბამისად. „Python“-ის შესასწავლად რამდენიმე თვიანი კურსიც საკმარისია. გარდა ამისა, მასზე ყველას ხელი მიუწვდება იმიტომ, რომ არსებობს უფასო ვერსია. მან აღნიშნა, რომ სილაბუსებში გათვალისწინებულია დებულების დონეზე წერითი, ზეპირი ან საშინაო სახით მიცემული ქვიზები.

საბჭოს წევრმა, გიორგი ლაღანიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, გროვდება თუ არა 120 კრედიტი ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით.

არჩილ ჯანგირაშვილმა აღნიშნა, რომ საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, სტუდენტს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების კვალიფიკაცია, რომელიც იძლევა ისეთ შესაძლებლობას, რომ კურიკულუმის დონეზე განისაზღვროს ვარიაცია. შესაბამისად, კვალიფიკაციის პრობლემა პროგრამაზე არ არსებობს.

ქეთი ცხადადემ მეთოთხმეტე რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა აღნიშნული რეკომენდაცია გაითვალისწინა განსხვავებული ფორმით კერძოდ, სავალდებულო სასწავლო კურსად აღებული იქნა „ფინანსური და მმართველობითი აღრიცხვა“. შესაბამისად, ამ სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი შეძლებს ცოდნის გაღრმავების მიზნით აირჩიოს „მმართველობითი აღრიცხვის საფუძვლები.“ მისი თქმით, „რისკების მენეჯმენტი“ არჩევის სასწავლო კურსად განისაზღვრა იმიტომ, რომ სავალდებულო სასწავლო კურსები, როგორებიცაა „მენეჯმენტის საფუძვლები“ და „შეფასების მენეჯმენტი“ სტუდენტს აძლევს ძირითად ცოდნას რისკების მენეჯმენტის მიმართულებით. საკითხის სიღრმისეული შესწავლისთვის სტუდენტს შესაძლებლობა ექნება, რომ აირჩიოს დამატებით „რისკების მენეჯმენტი“. „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“ განხილულია ისეთ სასწავლო კურსებში, როგორებიცაა „ბიზნესი და ეკონომიკა“, „ორგანიზაციულ მოდელირების საფუძვლებში“ და „მოხმარების გამოსვლების კვლევაში“.

საბჭოს წევრმა, დიმიტრი ჯაფარიძემ კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, არის თუ არა „ადამიანური რესურსების მენეჯმენტში“ მითითებული ინგლისურენოვანი ლიტერატურა ძირითად ლიტერატურად.

არჩილ ჯანგირაშვილმა აღნიშნა, რომ „ადამიანური რესურსების მენეჯმენტში“ ძირითად ლიტერატურად ინგლისურენოვანი ლიტერატურაა მითითებული კერძოდ, Human Resource Management- 15th ed. Dessler, Gary 2017 იმიტომ, რომ ქართულენოვანი ლიტერატურა ამ მიმართულებით არ არის.

დიმიტრი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ ამ საგნისთვის არსებობს ძალიან კარგი ლიტერატურა მაიკლ არმსტრონგის „ადამიანური რესურსების მართვის“ სახით. შესაბამისად, სასურველი იქნება თუ სილაბუსში მითითებული იქნება ეს სახელმძღვანელო.

საბჭოს წევრმა, ციური დურულმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა, რამდენად რელევანტურია „ბიზნესისა და ეკონომიკისათვის“ ექვსი კრედიტი იყო განკუთვნილი.

არჩილ ჯანგირაშვილმა აღნიშნა, რომ დარგობრივი კომპეტენცია ზუსტად ერგება „ბიზნესისა და ეკონომიკის“ სასწავლო კურსს. გარდა ამისა, აღნიშნული კურსის წაკითხვის დიდი გამოცდილება აქვს დაწესებულებას. უნივერსიტეტი იზიარებს იმ აზრს, რომ „ადამიანური რესურსები მენეჯმენტში“ დაემატოს მაიკლ არმსტრონგის „ადამიანური რესურსების მართვის“ სახით ლიტერატურა. ქეთი ცხადადემ აღნიშნა, რომ „ბიზნესისა და ეკონომიკის“ სასწავლო კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი იღებს საბაზისო საფუძველს როგორც ბიზნესის, ისე ეკონომიკის მიმართულებით. ეკონომიკა მიკრო და მაკრო დონეზე ისე არ ისწავლება, რომ სტუდენტმა ვერ დაძლიოს.



## სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 20:00

დასრულების დრო: 20:29

### სხდომის თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:

შპს საქართველოს უნივერსიტეტის “ბიზნეს ანალიტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით, აკრედიტაციის საბჭოს 27<sup>6</sup> მუხლის 2<sup>11</sup> პუნქტის შესაბამისად, 60 დღის ვადაში მონიტორინგის განხორციელების ვალდებულების საკითხი.

### კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 15

წინააღმდეგი - 0

### გადაწყვეტილება:

აკრედიტაციის დებულების 27<sup>6</sup> - ე მუხლის მე-2<sup>11</sup> პუნქტის საფუძველზე, შპს საქართველოს უნივერსიტეტის “ბიზნეს ანალიტიკის” საბაკალავრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე აკრედიტაციის პირობების შესრულების შესამოწმებლად, აკრედიტაციის საბჭო მიმართავს ცენტრს შუამდგომლობით, 60 დღის განმავლობაში მონიტორინგის განხორციელებისთვის.

საბჭოს სხდომა დატოვა საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა.

### აბოლოოდ საბჭომ დაწესებულებას შესასრულებლად განუსაზღვრა შემდეგი რეკომენდაციები:

1. შესაფასებელი ანგარიშის და თანდართული დოკუმენტების შესწავლით დასტურდება, რომ პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებაში აღქმადია თითოეული შედეგის მიღწევის დონე (გაცნობის, გაღრმავების და განმტკიცების), თუმცა პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკაში არ არის ასახული.
2. მიზანშეწონილია უსდ-მ მიღების წინაპირობებში კონკრეტულად განსაზღვროს ეროვნული გამოცდების მესამე საგანი და ინგლისური ენის დონის კომპეტენცია
3. სასწავლო კურსს „MATH3040 მონაცემთა ანალიზი“ დაემატოს წინაპირობები „BUAN1010 ბიზნეს ანალიტიკის შესავალი“, „MATH3020 ბიზნეს ანალიტიკის რაოდენობრივი მეთოდები 2“ და დაპროგრამების საფუძვლები, სადაც სტუდენტებს შესწავლილი ექნებათ Python ენის სინტაქსი.
4. სავალდებულო სასწავლო კურსი „INFO3020 ობიექტზე ორიენტირებული დაპროგრამება (C#)“ ჩანაცვლდეს ან გახდეს არჩევითი და მის ადგილას შემოტანილ იქნას დაპროგრამების საფუძვლები Python ენაზე.
5. სავალდებულო სასწავლო კურსი „INFO3035 IT სერვისების და პროექტების მენეჯმენტი“ გახდეს რჩევითი.
6. გაერთიანდეს სავალდებულო სასწავლო კურსები „INFO3015 ბიზნეს პროცესების ვიზუალიზაცია MS Visio-ს გამოყენებით“ და „BUAN2015 ბიზნეს ანალიტიკის პროცესების მართვა“.
7. არჩევითი სასწავლო კურსებიდან გადმოვიდეს სავალდებულო სასწავლო კურსებში „ადამიანური რესურსების მართვა“, „მმართველობითი აღრიცხვის საფუძვლები“, რისკების მენეჯმენტი“.
8. სავალდებულო სასწავლო კურსის სახით შეთავაზებულ იქნას „აკადემიური წერა“.

**6. მეექვსე საკითხი:** შპს საქართველოს უნივერსიტეტის “ქართული ფილოლოგიის” სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის საკითხის განხილვა;

**საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება - ქართული ფილოლოგია**

**საფეხური - მაგისტრატურა**

**სწავლების ენა - ქართული**

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ჰუმანიტარული მეცნიერებების მაგისტრი ქართულ ფილოლოგიაში**

**დეტალური სფეროს კოდი - 0232 - ლიტერატურა და ლინგვისტიკა**

**საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება**

**✓ არა**

**საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება**

**✓ არა**

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

**მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა**

**ექსპერტების პოზიციის განხილვა**

**სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.**

ექსპერტი ნინო პოპიაშვილი მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და განაცხადა, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის “ქართული ფილოლოგიის” სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით აკრედიტაციის საბჭოსა და ექსპერტთა მიერ გაცემული იყო თერთმეტი რეკომენდაცია და თერთმეტი რჩევა. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფს დასჭირდა დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა იმისათვის, რომ თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი მტკიცებულებების დეტალურად განხილვა მომხდარიყო. ამრიგად, დაწესებულებამ ყველა რეკომენდაცია სრულად, ხოლო რჩევების დიდი ნაწილი გაითვალისწინა.

**სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.**

პროგრამის ხელმძღვანელმა, ნანა შავთვალაძე მიესალმა აკრედიტაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს გაწეული შრომისთვის. მისი თქმით, უნივერსიტეტმა ყველა რეკომენდაცია სრულად შეასრულა.

**სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება**

**დაწყების დრო: 20:34**

**დასრულების დრო: 20:38**

**სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა:**

შპს საქართველოს უნივერსიტეტის “ქართული ფილოლოგიის” სამაგისტრო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგი:**

მომხრე - 14

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

აკრედიტაციის დებულების 27<sup>6</sup> - ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2<sup>11</sup> პუნქტის საფუძველზე, შპს საქართველოს უნივერსიტეტის “ქართული ფილოლოგიის” სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

**დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 20:40 საათზე.**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო  
საბჭოს წევრი  
დურული ციური



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო  
სხდომის თავმჯდომარე  
თუთბერიძე გოჩა

